

**ფერეიდნელ ქართველთა
კულტურული ფენომენი ირანში
CULTURAL PHENOMENON
OF FERAYDAN GEORGIANS IN IRAN**

ლალი ურდულაშვილი
თბილისის უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

Lali Urdulashvili
University of Tbilisi
Tbilisi, Georgia

ABSTRACT

In the course of the centuries, the Fereydan Georgians succeeded in maintaining their mother tongue, and traditions and customs of their forefathers. In their pursuits, they managed to maintain national consciousness while creating a unique cultural phenomenon in Muslim Iran. Talent, wit and skills of the Georgians have been revealed in various spheres of life. The Georgian ox-cart and residential buildings constructed in line with the Georgian architectural style represent a remarkable example of the household culture.

The Fereydan Georgians have preserved not only the features of household culture but also spiritual compatibility with their historical brothers. The fact that no homicide had occurred during four centuries among the Georgian community is the greatest expression of high spirituality of the Georgians as well as of their love for their fellow countrymen. Knowledge of the native language and reading and writing skills was handed down from one generation to another. As for the Georgian book, it has been regarded as an actual relic in every Georgian household. The Fereydan Georgians had difficulty in obtaining Georgian books. Often, they would copy pieces of Georgian literature and spread them in manuscripts.

Under current circumstances, it is critically important that Said Muliani, the Georgian from Fereydan has compiled “Deda Ena” (Mother Language) based on Deda Ena by Iakob Gogebashvili) in Georgian and Persian languages for Georgians living in Iran. It ensures that the knowledge of the mother language as well as the contact with the roots will be maintained.

The Georgian cultural phenomenon deserves praise in Iran and is unique throughout the world.

საკვანძო სიტყვები: ფერეიდნული დიალექტი, ირანის ქართველები, ქართული კულტურა.

Keywords: Fereydan dialect, Georgians of Iran, Georgian culture.

„მოსრნა, წარტყვევნა, აჰყარა“... ამ რამდენიმე სიტყვაში აქცევს ვახუშტი ბატონიშვილი მე-17 საუკუნის დასაწყისის ქართველთა უმძიმეს ტრაგედიას. 1616 წელს შაჰ-აბას პირველის ლაშქრობა საქართველოში დღემდე მოურჩენელ იარად ატყვია ჩვენი სამშობლოს მატინეს. ვერაგმა, მაგრამ ჭკვიანმა პოლიტიკოსმა შაჰ-აბას პირველმა ასი ათასზე მეტი ქართველი დედანულიანად აჰყარა თავისი საცხოვრისიდან და შორეული ირანის გზას გაუყენა. უამრავ ქართველს ხრიოკი, უწყლო უდაბნოს სხვადასხვა ადგილას ამოხდა სული. კახეთიდან ტყვედ წაყვანილი ქართველების დიდი ნაწილი ირანის ცენტრალურ პროვინციაში, ფერეიდანის მთიანეთში, ჩაასახლეს. შაჰის პოლიტიკა იმას ითვალისწინებდა, რომ შეუპოვარ და მამაც მეომარ ქართველებს მომთაბარე ტომთა შემოსევებისაგან უნდა დაეცვათ იმდროინდელი სატახტო ქალაქი ისპაჰანი. თავიანთი სიმამაცის, მხედრული ნიჭისა და სხვა არაერთი კეთილშობილური თვისების გამო, ჩვენმა თანამემამულეებმა მომთაბარენიც მოიგერიეს და თავიც გადაირჩინეს. შაჰმა დაინახა ქართველთა, ჩერქეზთა და სხვა კავკასიელთა განსაკუთრებული მეომრულ-პიროვნული თვისებანი და თავის კარზე კავკასიური ფრთა დაანინაურა. გამორჩეული პატივით ქართველები სარგებლობდნენ. ასე წარმოიშვა ე. წ. „ახალი არისტოკრატია“ ირანის სამეფო კარზე. შაჰის მიერ აღბეჭეულ ქართველთაგან უპირველესად უნდა დავასახელოთ ალავერდი-ხან უნდილაძე, რომელიც შაჰ-აბასის ნდობითა და კეთილგანწყობით სარგებლობდა. დღემდე შემორჩენილია ირანის მრისხანე მბრძანებლის გამოთქმა: მთელი ირანი შემორჩილება მე, ხოლო მე ვემორჩილები უნდილაძესო. სწორედ ალავერდი-ხან უნდილაძის სახელს მიენერება სატახტო ქალაქ ისპაჰანში ორსართულიანი ხიდის აგება, რომელიც დღემდე „მინიატურულ მსოფლიოდ“ სახელდებული ისტორიული ქალაქის სიამაყეს წარმოადგენს. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ალავერდი-ხანი სწორედ საქართველოზე შაჰის გამოლაშქრების წინ გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა, ხოლო შაჰ-აბასმა მის ვაჟებს – იმამ-ყული ხანსა და დაუდ-ხანს – მნიშვნელოვანი ოლქების ბეგლარბეგობა უბოძა.

ფერეიდანში კომპაქტურად ჩაასახლებული ქართველების დასახლებას ირანში „გურჯი მაჰალეს“ უწოდებდნენ. მოგვიანებით მათ თავიანთი ისტორიული სამშობლოს ხსოვნის უკვდავსაყოფად დააარსეს ქალაქი მარტყოფი და ფესვებთან კავშირი დღემდე გასაოცარი ძალისხმევით შედეგად არ გაუნყვეტიათ.

როგორც ისტორიულ-ლიტერატურული წყაროებიდან ირკვევა, ისინი ძირითადად კახეთიდან, ივრის ხეობიდან წაყვანილი ქართველები ყოფილან, ამიტომაც მათ მეტყველებაში შეიმჩნევა აღმოსავლური, კერძოდ, კახურ-ქიზიყური დიალექტის გავლენა.

მკვლევარი ზ. შარაშენიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ XVII-XVIII საუკუნეების განმავლობაში არც ერთი ქართველი, რუსი თუ ევროპელი

მოგზაური არ მოხვედრილა ფერეიდანში. მხოლოდ იონა ხელაშვილი მოიხსენიებს თავის ლოცვაში ფერეიდნელ ქართველებს.

1895 წელს ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოქვეყნებულ წიგნში ავტორი წერს: „დარჩენილან ისეთი ქართველნიც, რომელნიც თუმცა გათათრებულან სარწმუნოებით, მაგრამ ქართული ენა და საქართველოს სსოვნა კი მაინც არ დაუკარგავთ“ (ჭიჭინაძე 1895).

პირველი ქართველი, ვინც ხანგრძლივად იმოგზაურა ფერეიდანში, არის ლადო აღნიაშვილი. მანვე 1896 წელს გამოაქვეყნა მოგზაურობის შთაბეჭდილებანი სათაურით: „სპარსეთი და იქაური ქართველები.“ როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, სწორედ ლ. აღნიაშვილის სტუმრობის დროს აღედრათ სურვილი იქაურ ქართველებს, სწვეოდნენ ისტორიულ სამშობლოს. ჯერ კიდევ ირანში მყოფი სამხედრო ოფიცერი პავლე ლორთქიფანიძე გულისტკივილით საუბრობს იმაზე, რომ ქართველებს აქვთ სურვილი ქართული წიგნების გაცნობისა, სჭირდებათ ქართული სკოლა, ჟურნალ-გაზეთები, რაც პრაქტიკულად მიუწვდომელია მათთვის.

ფერეიდანის ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში შეძლეს შეენარჩუნებინათ მშობლიური ენა, მამაპაპური ტრადიციები და ადათ-წესები. მათ თავიანთი მოღვაწეობით მაჰმადიანურ ირანში არ დაკარგეს ეროვნული ცნობიერება და შექმნეს უნიკალური კულტურული ფენომენი. ქართველებმა ყოფიერების სხვადასხვა სფეროში გამოავლინეს საკუთარი გამჭრიახობა, ჭკუა-გონება, ნიჭიერება და უნარები. ცნობილია, რომ თვით შაჰ-აბასის რეზიდენცია ქართველების მიერ იყო აგებული, სადაც შემონახულია ჩვენი წინაპრების ხელით დამზადებული სპეციფიკური წყლის სისტემა – კედლებზე გაყვანილი მდინარის წყალი, რომლის ანალოგი საქართველოშიც მოიპოვება. ყოფილი კულტურის თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს ჩვენებური ურემი, რომელიც იქაურ ქართულ სოფლებში უნახავთ, ასევე ქართლური არქიტექტურით ნაგები საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ერთმანეთთან მიჯრით იდგა და მტრის შემოსევებისა და დიდთოვლობისაგან იცავდა მაცხოვრებლებს. ოთახებს ჰქონდა სპეციალური ხვრელები, რომ საჭიროების დროს ახლობლებსა და ნათესავებს ერთმანეთი შეეფარებინათ. ამ მხრივ ქართული სოფლები ერთგვარ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა მნახველის თვალში. ოჯახების ერთიანობას ისტორიულად შემონახული ადათ-წესებიც უწყობდა ხელს. უნდა დავასახელოთ ე. წ. ხარმულობის ტრადიცია, რომელიც გავრცელებული იყო მესხეთ-ჯავახეთში. ხარმულობა გაზაფხულიდან შემოდგომამდე იმართებოდა. ის გულისხმობდა რძის შეგროვების პროცესს, რომელშიც ჩაბმულნი იყვნენ ახლობლები. ეს პროცესი ნაყოფიერებისა და ბარაქიანობის რიტუალს განასახიერებდა. ფერეიდანში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, განსაკუთრებული პატივითა და სიყვარულით სარგებლობს ოჯახის დედა. მისი ავტორიტეტი შეუვალია და მისი სიტყვა – ანგარიშგასაწევი. იგრძნობა უმცროსის

მხრიდან უფროსის მონივნება და რიდი, ხოლო ოჯახური სიმტკიცის დაცვა მათთვის წმიდათაწმიდაა.

ოთხასი წლის განმავლობაში ფერეიდნელმა ქართველებმა შემოინახეს არა მხოლოდ ყოფითი კულტურის ნიშნები, არამედ სულიერი თანხვედრაც ისტორიულ თანამოძმეებთან. მათ არასოდეს დაუვიწყებიათ ძვირფასი და საკრალურობამდე ამაღლებული ქართული ენა, ხსოვნა მამაპაპური რჯულისა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ ჩვენმა წინაპრებმა შეძლეს ისლამურ გარემოში ქრისტიანული სამლოცველოს აგებაც კი, რომლის ნაშთებიც თავად ვიხილეთ ფერეიდანში მოგზაურობის დროს. ლადო აღნიაშვილის ცნობით, ამ საყდარში ისინი უმღვდლოდ აღუვლენდნენ ღმერთს ლოცვა-ვედრებას. ფერეიდანში არსებობს ორი წმინდა ქვა, თამზია და ამაღლება. ამაღლების ქვასთან მიდიან დღემდე ახალგაზრდები და სანთლებს ანთებენ (ს. ონიკაშვილი). ამ ქვებს საინტერესო ისტორია უკავშირდება. როგორც თავად ფერეიდნელები გვიამბობენ, ამაღლების ქვასთან ერთად საკრალური მნიშვნელობისაა მეორე ქვაც, რომელსაც თამზიას უწოდებენ. ეს იგივეა, რაც თავმზიანი. გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ავღანელებთან ომის დროს, როდესაც ფერეიდნელ ქართველებს ბრძოლა ისე გაუჭირდათ, რომ დამარცხების პირას იყვნენ, ქვა ორად გაიპო, იქიდან მოულოდნელად გამოჩნდა მხედარი, რომელსაც სახე ისე თვალისმომჭრელად უბრწყინავდა, რომ არც ჩანდა. ვარაუდობენ, რომ ამიტომაც თავმზიანი უწოდეს. ის მეგრძოლებს მიეხმარა და ამაღლების ქვაში გაუჩინარდა. ფერეიდნელების ეს გადმოცემა შორეული ანარეკლია იმ რწმენისა, რომელიც წმინდა გიორგის ქართველთა მფარველად მოიაზრებდა ომში. შემოუნახავთ ასევე სულთმოფენობის დღესასწაული, რომელიც ყოველ გაზაფხულზე იმართება და კავშირშია ქრისტიანულ რწმენასთან. ეროვნული ცნობიერების არსებობაზე მიუთითებს ასევე სარიტუალო პურებზე დასმული ჭვარი.

ლადო აღნიაშვილი კონკრეტულად სამ ფაქტორს ასახელებს ქართველთა იდენტობისა: 1. ენა, 2. ხსოვნა იმისა, რომ ისინი ქართველები არიან, 3. ანთროპოლოგიური ტიპი და ხასიათი.

ქართველთა მაღალსულიერებისა და ერთმანეთის სიყვარულის უდიდესი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ ოთხასი წლის განმავლობაში ქართველს ქართველი არ მოუკლავს. მშობლიური ენა და წერა-კითხვის ცოდნა თაობიდან თაობას მშობლებისგან გადაეცემოდა. თითოეულის ოჯახში ქართული წიგნი ნამდვილი რელიკვიაა. ფერეიდნელები რთულად ახერხებდნენ ქართული წიგნების მოპოვებას, ხშირ შემთხვევებში ისინი ხელით გადანერდნენ ხოლმე და ხელნაწერის სახით ავრცელებდნენ ლიტერატურულ ნიმუშებს.

თანამედროვე ვითარებაში უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ ფერეიდნელმა ქართველმა საიდ მულიანმა იაკობის „დედაენაზე“ დაყრდნობით შექმნა „დედაენა“ სპარსეთში მცხოვრები

ქართველებისათვის ქართულ და სპარსულ ენებზე, რაც მშობლიური ენის არდავინწყებისა და ფესვებთან მარადიული კავშირის სანინდარია. დღესდღეობით ფერეიდნელთა ოთხასწლოვანი ოცნება ახდენილია. ცისარტყელას ქვეშ გამოიარა არაერთმა სამშობლოს მონყვეტილმა ქართველმა.

ქართველთა კულტურული ფენომენი იმსახურებს მაღალ შეფასებას თვით ირანში და ის არის უნიკალური მოვლენა მთელს მსოფლიოში.

დამონშებული ლიტერატურა

აღნიშავილი 1896: აღნიშავილი ლ., სპარსეთი და იქაური ქართველები. ტფილისი, 1896.

ბერიძე 2010: ბერიძე ც., ვლადიმერ (ლადო) აღნიშავილი, ცხოვრება და მოღვაწეობა. თბილისი, 2010.

კობახიძე 2009: კობახიძე ნ., ცისარტყელაში გამოვლილები. ჟურნალი “მაგთი“, #2 (42). თბილისი, 2009.

ნიკოლეიშვილი 2018: ნიკოლეიშვილი ა., ფერეიდანი, ისტორიულ-ფილოლოგიური რეალიები. ქართველოლოგიური ეტიუდები, II. თბილისი, 2018.

ღანიშავილი 2017: ღანიშავილი მ., ყველაზე დიდი გული. თბილისი, 2017.

შარაშენიძე 1969: შარაშენიძე ზ., ახალი მასალები ფერეიდნელი ქართველების შესახებ. თბილისი, 1969.

შარაშენიძე 1979: შარაშენიძე ზ., ფერეიდნელი გურჯები. თბილისი, 1979.